საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 298

2012 წ. "23." 10.

ქ. თბილისი

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,თეთნულდისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ ,,თეთნულდს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 235891512) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	I	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის (სამკერვალო ნაწარმის შემსრულებლის) პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	20
2.	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	II	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის (სამკერვალო-ინდუსტრიული ნაწარმის შემსრულებლის) მეორე	30

			საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	
3.	მეფილე-მომპირკეთებელი	II	მეფილე-მომპირკეთებლის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
4.	მეფილე-მომპირკეთებელი	III	მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
5.	ინფორმაციული ტექნოლოგი	III	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
6.	სასტუმრო საქმისმწარმოებელი	III	სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 23-24 ოქტომბრის №24 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

მდივანი
ანა კლდიაშვილი